



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/796

26 / ივნისი / 2019 წ.



KA000047804710619

ქალაქ ფოთი, გორგასალის ქუჩა N25-ში მოქალაქე ნანა თოფურიას სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, 2019 წლის 24 ივნისს, განცხადებით (რეგისტრაციის N 01/5105) მომართა მოქალაქე ნანა თოფურიამ და ითხოვა ქალაქ ფოთში, გორგასალის ქუჩა N25-ში სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ მოქალაქე ნანა თოფურიას განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, № 57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, №59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთი, გორგასალის ქუჩა N25-ში მოქალაქე ნანა თოფურიას სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, ქალაქ ფოთი, გორგასალის ქუჩა N25-ში მოქალაქე ნანა თოფურიას სასტუმროს მშენებლობის ნებართვა (თანახმად დანართისა) 2019 წლის 1 ივლისიდან 2020 წლის 1 თებერვლამდე.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის სასამართლოში (მის.ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

3. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №12).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

გონა კურდღელია